ნანა კუპრაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.51

მითის მხატვრული რეცეფცია ვაჟა-ფშაველას ,,გველისმჭამელში“

ვაჟა-ფშაველას პოემა ,,გველისმჭამელი“ შეიქმნა ხევსურეთში გავრცელელბული თქმულება ,,ხოგაის მინდის“ საფუძველზე. ზეპირსიტყვიერების ამ ნიმუშს სრული სახით ჩვენამდე არ მოუღწევია. არსებობს ექიმ გ. თევდორაძის მიერ ჩაწერილი გადმოცემა, რომელსაც ერთვის თავად ჩამწერის მიერ დამატებული ეპიზოდებიც.

გ.თევდორაძის შენიშვნით, ჩანაწერებში ხალხურია: ,,გუგულების ამბავი, ლექსები, მინდიას ტყვეობა ნადირთ მწყემსთან, მისი დაავადება ტილით, თეთრი გველის ჭამა, განკურნება, მისნად გადაქცევა, ქისტეთს წასვლა საომრად, ძმობილ ალდისძის ბინაზე მისვლის მაგივრად მტრის სახლში მისვლა, ციხეში გამომწყვდევა და სიკვდილი“ [5:97].

არსებობს თ. ნაროზაულისგან ჩაწერილი ვრცელი პროზაული ტექსტიც. ამ ვარიანტშიც ბევრი რამ არის დამატებული. ორი ვარიანტიც ერთმანეთთან შედარება გამოკვეთს იმ საკითხებს, რომლებითაც შეიძლებოდა ესარგებლა დიდ პოეტს ხალხური მასალიდან.

თ. ქურდოვანიძე ადარებს ამ ჩანაწერებს ერთმანეთს და გამოყოფს შემდეგ საკითხებს.
,,1. მინდიას გუგულების ქვეყანაში მოხვედრა.
2. მინდიას მიერ გუგულების გათავისუფლება ფრინველების ჯარისგან.
3. გუგულების სურვილი მინდიას დასაჩუქრებისა.
4. თეთრი გველის ხორცით გამასპინძლება. მინდიას ცუდად შექმნა გველის ხორცის ჭამის მიზეზით. სამი ხელი ლოგინის გამოცვლა.
5. მკბენარის იღლიებში დაგროვება და მისგან გათავისუფლება.
6. ფრინველ-ნადირთა, ხეთა და ყვავილ-ბალახთა ენის გაგების უნარის შეძენა.
7. მინდიას დაბრუნება ხევსურეთში და ბრძენისა და მკურნალის სახელის დაგდება.
8. სასწაულებრივი უნარის დაკარგვა და ჩვეულებრივ ადამიანად ქცევა.
9. ქისტეთში ჩასვლა და სიკვდილი მტრების ხელით“ [6: 78].

ეს ის საკითხებია, რომლებიც ამ ვარიანტებში არსებობს.

პოემის ფოლკლორული მასალის შესახებ თავად მწერალი მოგვითხრობს პუბლიცისტურ წერილში ,,ფიქრები ,,ვეფხისტყაოსნის“ შესახებ: ,,ამ პოემისთვის ხალხის თქმულებამ მომცა შემდეგი მასალა: მინდია ქაჯეთს იყო ტყვედ; დამტყვევებელთ მოუხარშეს გველი და აჭამეს, რომ მოეწამლათ, მაგრამ საწამლავმა, ქაჯების მიერ შემზადებულმა, ზიანის მაგივრად, არგო მინდიას: ხევსური შეიქმნა ბრძენი, იმას ესმოდა ყველა მცენარეთა - ყვავილების ენა. ამის წყალობით იმან შეისწავლა ექიმობა და პირველი ჯანაოზი დადგა; ყველა მცენარე შესძახოდა, მე ამა და ამ სნეულების წამალი ვარ, ამგვარად სახმარიო, და ისიც ამ ყვავილებს აგროვებდა და ყოველგვარ სნეულს არჩენდა. ამის მეტს ხალხური თქმულება მინდიაზე არაფერს არ გვეუბნება“. ამავე საკითხს ეხება წერილში ,,კრიტიკა იპ. ვართაგავას“, ზემოთქმულს კი უმატებს : ,,მინდიას დაცოლშვილება, ცოლთან ბაასი, ხორცის უჭმელობა, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, მხედართმთავრული ნიჭი გველის მჭამელისა, ჩიტების ენის ცოდანა, ხალხურ თქმულებას არ ეკუთვნის. ამბავი მინდიას სულის დრამატიულს განცდას არ წარმოგვიდგენას“. ამ უკანასკნელი სიტყვების ხორცშესხმა თავად ეპიკური ქმნილებაა და ცხადია, მას აქვს მსოფლმხედველობრივი კონტექსტი.

მიწისქვეშეთის ბინადარი გველი, როგორც უნივერსალური სიმბოლო, განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ქართულ ტრადიციაში - მითში, კულტში, ხელოვნებაში. ,,საკრალური გველი ხთონური არსებაა და უკავშირდება მიცვალებულთა სამყაროსაც“ [1:11].

რეინკარნაციას, მითოლოგიის თანახმად, გველი ,,განაგებს“, რომელიც მზესთან თანაარსებობით ახერხებს გარდასახვას. სამყაროს ერთიანობიდან გამომდინარე, იგი წარმოქმნის ოპოზიციების: სიკვდილ-სიცოცხლის, დასაწყისისა და დასასრულის ერთიანობის მარადიულ განცდას.

ინიციაციის გზაზე მდგარი მინდია გველის ხორცის ჭამით ქვესკნელში ჩადის (,,დევურს“ ეზიარება), რომ გააგრძელოს ფერიცვალება მთაზე ასვლამდე (მთა - თავისი მითოსურ-საკრალური გაგებით). მინდიას საცხოვრისი, მართალია, მთაზეა, მაგრამ მინდია ვერ ინარჩუნებს თავის მდგომარეობას, ვიტალური მოთხოვნილებები თავისას გაიტანს. მინდია ფერიცვალებას ვერ დაასრულებს, სანამ არ გამოემშვიდოდბება მიწიერს.

პოემა იწყება წიქას ოჯახში გამართული ლხინით. ხევსურთა თავყრილობას აღმზრდელობითი ფუნქცია აქვს, მოხუცები გმირებს იხსენებენ და ამით ახალგაზრდებს ქვეყნის სიყვარულის მაგალითებს უსახავენ.

ზოგადად გმირობის ინსტიტუტს ხშირად უბრუნდება ვაჟა-ფშაველა თავის ნაწარმოებებში და მეტად ფაქიზად ეკიდება („გმირთა სამარეს, როგორც ხატს სამთხვევლად დავეღირები..“ ან კიდევ: „მტრისამც დედასა გველი ჰკბენს და ჩაუძვრება უბედა, გმირთა აღმზრდელთა ძუძუებს, გაიხდის თავის ბუდედა“(„ბახტრიონი“). „გველისმჭამელშიც“ ცხადად ჩანს მოწიწება გმირების მიმართ, განსაკუთრებით ეს ითქმის ქისტებთან ომის დროს ქალების საუბარზე. ცხადია, მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება.

მინდიას პერსონაჟს ხევსურთა ლხინის დროს გვაცნობს ავტორი. გმირი დაღვრემილია, ჩაფიქრებული, მიუხედავად იმისა, რომ ქაჯთა ტყვეობიდანაა დაბრუნებული და „ძმებთან ყოფნითა სტკბებოდა“. ცხოვრებამ ფიქრი ასწავლა მინდიას.

როგორც შემდეგ ირკვავა, თორმეტ წელს ქაჯებს ჰყოლიათ ტყვედ, სამშობლოდან შორს ყოფნამ და ტყვეობამ „ფრიად დაჩაგრა“, საკუთარი მიწა-წყლის, ოჯახის, „მწირული ჭერხოს“ მონატრებამ თვითმკვლელობა გადააწყვეტინა და ამ მიზნით გველის ხორცი შეჭამა. სიკვდილის მაგივრად მინდიამ ახალი უნარი შეიძინა. მას ესმოდა ფრინველთა, ცხოველთა და მცენარეთა ენა. გველისმჭამელი უნებლიეთ ბუნების საიდუმლოს შეცნობას შეეცადა.

„რაცკი რამ დაუბადია
უფალს სულიერ - უსულო,
ყველასაც თურმე ენა აქვს,
არა ყოფილა ურჯულო.
ამას გრძნობს, უკვირს თვითონაც
ტყვეს თვის ბუნების ცვალება.“

მითოსური გველის ჭამა და ქრისტიანული ზეცის წყალობა პოემის მიხედვით, იდენტური ცნებებია. მინდიას მეტამორფოზსაც სწორედ მსოფლმხედველობრივი კონტექსტი აქვს. ღვთაებრივი ცოდნის შეძენა მინდიას სხვაგვარ ცხოვრებას ავალებს.

ქაჯთაგან მინდიას მხოლოდ ის განასხვავებდა, რომ მის გულში ბოროტმა „ვერ მოიკიდა ფეხია“. ქაჯები გრძნობენ მინდიას ფერიცვალებას, გლეხის „გამეცნიერებას“, რაც ნიშნავს არა ცოდნის მიღებას, არამედ გარემოს შეგრძნობის, სამყაროს საიდუმლოთა ინტუიციურად წვდომის უნარის შეძენას.

მინდია თამარის თანამედროვეა, რაც არ ჩანს თქმულებაში და მწერლის დამატებულია პატრიოტულ მისწრაფებათა საჩვენებლად.

ზოგადად ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში ბუნების წესრიგი მაგალითად ესახება ადამიანს. მისგან სწავლობს: სიყვარულს, მზრუნველობას, დანდობას, სიკეთეს, სუსტის შებრალებას, ღირსეულის დაფასებას და სხვ.

„თურმე ზნედა სჭირთ ყვავილთა,
ოღონდ ეწამლონ სნეულთა“.

ბუნების წარმონაქმთა თავგანწირვა, ღვთის თავგანწირვის ალუზიას ქმნის.

„არად აგდებენ სხეულთა,
სალხინოდ ჰსახვენ, კაცთ სარგოდ,
ძვალ-ხორცთა ჩამორღვეულთა...“

თავთავების ამქვეყნიური მოვალეობაც კაცთა რჩენა ყოფილა:

„კაცთ სარგოდ თავსა ჰზოგავენ
თავთავნი ოქროსფერანი-
არ სწადით ოხრად ლპებოდნენ,
ჰკენკდნენ ყვავნი და ძერანი“

თავდაპირველად მინდიას ნიჭს ვერ იგებენ გარშემომყოფნი. ხის მოუჭრელობა და ,,ჯოყრებითა და წიწკრებით“ თავის გატანა არ შეუძლიათ ადამიანებს. მინდიას ცხოვრებას სხვა განცდა განაგებს. ბუნებასთან სიახლოვემ კეთილშობილება შემატა და სხვებსაც ამისკენ მოუწოდებს.

მინდიას განსხვავებულობა ჩალხიას გაკვირვებაში ცხადდება. ის ვერ იგებს, მინდიას ქცევას, როცა გველისმჭამელი მტერს ხოცავს და სხვა დანარჩენი ებრალება, მაგრამ ადამიანს ცოდვად არ ეთვლება კაცთა კვლა, თუ ის მამულს, რჯულსა და ცოლს ართმევს.

თემი პრაგმატულად მსჯელობს და ადამიანის ყოფითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას აუცილებლობად მიიჩნევს.

მინდია თავის სიბრძნეს ხალხსა და სამშობლოს ახმარს. ის სწორ რჩევას აძლევს ლაშქარს:

,,მანამ მინდია ჰბელადობს,
ხევსურებს არა უშავთ რა,
ვეღარვინ ჰბედავს რჩოლასა,
მყუდროებაა ყველგანა...
ნეტავი იმას, ვისაც კი
მადლიერი ჰყავს ქვეყანა“.

მინდიას ,,მწირული ჭერხო“ მთაზე აუშენებია. ეს ის ადგილია, სადაც სალოცავებს აგებენ, ,,კვრივი“(ზ.კიკნაძე). მართალია ის ომში იმარჯვებს, მაგრამ ოჯახში მარცხდება. მზია ქმრისაგან ყოველდღიურ საზრდოსა და ყოფით პირობებს ითხოვს. ,,მზიასა და მინდიას კონფლიქტი ,,ეს არის ორი სიმართლის კონფლიქტი. ეროსი, ანუ სქესობრივი სიყვარული, ნაწილია აგაპესი, ანუ ღვთაებრივი სიყვარულისა. იგი საფუძველია ოჯახისა. რასაც ოჯახის კეთილდღეობა ითხოვს, ის არ არის მხოლოდ ადამიანის სურვილი. იგი უზენაესის ნებაცაა. მზიას მოთხოვნაში ღვთაებრივიც ურევია“(ბაქრაძე, 1990, გვ.191).

ფერიცვალების შემდეგ მინდია ბრიყვებს უწოდებს ყველას, ვინც ჩვეულებრივ მოკვდავთა წესით ცხოვრობს. ამიტომაც საყვედურობს ცოლს:

,,ცხოვრების მაგალითადა,
ბრიყვები დამისახოდი.“

თუმცა ის იძულებული ხდება ნელ-ნელა ,,მელაობით“ დაიწყოს თავის ნიჭთან მოქცევა: ხან ხე მოჭრას, ხან ბალახი მოთიბოს, ხან ნადირი დახოცოს. თანდათან იმასაც გრძნობს, რომ შეძენილ ცოდნას კარგავს.

მინდია თავისი ნიჭის დაკარგვას ოჯახს აბრალებს და უფლისგან განაჩენს ელოდება. ყველაზე მეტად კი იმას განიცდის, რომ ვეღარაფერს არგებს ქვეყანას.

,,ფუჭია ჩემი სიცოცხლე,
დღეს მჯობ შავის კლდის ლოდია,
თქვენგან მჭირს ჭირი უწამლო,
უფალს თქვენგანა ვცოდია.
შვილებიც ჭირად გამიხდა,
შამაცვლევინეს ფიქრია,
დაკარგულს სულს და ხორცზედა
ეხლა დღედაღამ ვტირია“

სოფელი ქისტებთან ომის სამზადისში იყო, როცა მინდია საკლავით ხახმატის სალოცავს მიადგა. მხურვალედ მლოცველი მინდია სასოწარკვეთილია, მან იცის, რომ უძვირფასესი ნიჭი დაკარგა და კიდევ ერთი უმძიმესი გამოცდა მოელის. ამ ეპიზოდს მოსდევს მზიასა და სანდუას

დიალოგი, რომელიც მინდიას განცდების წარმოჩენას ემსახურება. მზია უამბობს სანდუას, როგორ დაადანაშაულა მინდიამ ცოლი. მკითხველი კიდევ ერთხელ იგებს მინდიას განცდებს.

სიზმარს ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში სხვადასხვა ფუნქციით ვხვდებით. ზოგჯერ პერსონაჟის სულიერი შინაარსის გახსნას ემსახურება (ალუდას სიზმარი ,,ალუდა ქეთელაურიდან“ ლელას სიზმარი ,,ბახტრიონიდან “), ზოჯერ - წინასწარმეტყველურია (კვირიას სიზმარი - ,,ბახტრიონიდან“). მზიას სიზმარიც წინასწარ გვაცნობს იმას, რაც მინდიას სიბრძნის დაკარგვას უნდა მოჰყვეს.

თემს არ სჯერა მინდიას უნარის დაკარგვა. ვერ ეგუება იმას, რომ მინდია უარს ამბობს ლაშქრის წინამძღოლობაზე. მინდიას რჩევას ხევსურთა მარცხი მოჰყვა. გმირის სულიერი კრიზისი გარდაუვალია, რადგან მინდიას ცოდვით დაცემა სოფელს მოეკითხა. მინდია განწირულია. მინდიას მიერ ჩადენილი თვითმკვლელობა შექმნილი რეალობის ლოგიკური პასუხია.

ბუნება უგრძნობია თვითმკვლელის მიმართ, რითაც მწერლის პოზიციაც იხატება. მინდიას ერთადერთი ჭირისუფალი მთვარეა.

რა აიღო ვაჟა-ფშაველამ მითიდან ?

- მინდიას მიერ ფრინველ-ნადირთა, ხეთა და ყვავილ-ბალახთა ენის გაგების უნარის შეძენის ამბავი
- მინდიას ხევსურეთში დაბრუნების, სიბრძნის უნარის მოპოვებისა და ყოვლისშემძლეობის სახელის დაგდების შესახებ
- სასწაულებრივი უნარის დაკარგვისა და ჩვეულებრივ ადამიანად ქცევის ამბავი
- ქისტებთან ბრძოლის შესახებ

მითის თანახმად, მინდია ქისტების ხელით კვდება. პოემის მიხედვით კი თავს იკლავს. რა თქმა უნდა, ამას მითოლოგიური საფუძველიცა აქვს და პოემის მთავარი სათქმელის გადმოცემასაც ემსახურება.

,,კაბალახით შეკრული“ მინდია ,,შამურვილი სახის“ ხევსურებმა ბრძოლიდან გამოიყვანეს და დაბლა დააგდეს ვაკეზე“. ბრალეული გმირის დანავსული სიცოცხლის გზა ვაკეზე მთავრდება და არა, ვთქვათ, ფერდობზე, სადაც კვლავ იარსებებდა კვლავ აღდგომისა და და სიმაღლისკენ ლტოლვის გინდაც სულ მცირე პერსპექტივა“ [2].

ბუნების ძალთა სიბრძნის წვდომა მოკვდავი ადამიანისთვის შეუძლებელია.

მინდიამ ვერ შეძლო ფერიცვალების დასრულება. ავტორის მხატვრული ჩანაფიქრის თანახმად, ის ვერ შეძლებს ინიციაციაციას, სანამ არ გამოეთხოვება ყოფიერს.

ლიტერატურა:

1. აბაკელია ნ. (1997): სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში.თბილისი.
2. არაბული ა. (1990): ვაჟა-ფშაველას პოეტურ სამყაროში. თბილისი.
3. ბაქრაძე ა. (1990): რწმენა. მერანი. თბილისი.
4. ვაჟა-ფშაველა (1964): თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. IV. საბჭოთა საქართველო. თბილისი.
5. თევდორაძე გ.(1939): ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში. II. თბილისი.
6. ქურდოვანიძე თ. (2011): ვაჟა-ფშაველა და ქართული ფოლკლორი. თსუ გამომცემლობა. თბილისი.

სასარგებლო ბმულები:

ვაჟა-ფშაველა https://tagiweb.wordpress.com/2012/07/02/fiqrebi-vefkhistyaosnis-shesakheb-1911-gv-2/ 4.03.2023.
ვაჟა-ფშაველა https://tagiweb.wordpress.com/2012/01/22/kritika-b-ip-varthagavasi/ 4.03.2023.

Nana Kupradze

Georgian Technical University

The artistic reception of muth in Vaja- Pshavela's "Gvelismchameli"

Abstract

Mythology and showings have special place in Vaja-pshavela's various artistic inheritance. our interest is defined about on the example of the writer's poem "Gvelismchameli" with the problem of mythological defination. we deem, that the issue about mythological functions view is the most difficult in this poem.

Its natural, that the depth of author's artistic inheritance caused many opposite point of views. some part of researchers think that mythology in Vaja-pshavela's poems have only esthetic function and others believe that the writer's artistic mentality based on mythology. we think, that mythology in Vaja-Pshavela's poem "Gvelismchameli" has author's worldview function.